



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბედგინიძე ავთანდილ ალექსანდრეს ძე

ბედგინიძე ავთანდილ ალექსანდრეს ძე (დ. 8. X. 1938, სოფ. კოთელია, ახლანდ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1993). 1967 დაამთავრა საქართვე. სას.-სამ. ინ-ტის სატყეო-სამეურნეო ფაკ-ტი. 1974-82 მუშაობდა თსუ-ში საინჟ.-ეკონ., ხოლო შემდეგ სახ. მეურნეობის დაგეგმვის ფაკ-ტებზე. 1982-იდან იყო საქართვე. სას.-სამ. ინ-ტის (ახლანდ. საქართვე. სახელმწ. აგრარული უნ-ტი) სატყეო ეკონომიკის, ორგანიზაციისა და ტექსაცია-ტყეთმონყობის კათედრის თანამშრომელი, პროფესორი (1993-იდან); 2006-იდან კი - ამავე უნ-ტის სატყეო დეპარტამენტის პროფესორი. მისი კვლევის ძირითადი სფეროა სატყეო და სოფ. მეურნეობის დარგების ინტეგრაციის განვითარების ძირითადი მიმართულებები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი.

თხზ.: ტყის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა, თბ., 1975 (თანაავტ.); ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზი, თბ., 1976 (თანაავტ.); აგროსამრეწველო კომპლექსში სატყეო მეურნეობის წარმოების გაძლიერების საფუძვლები, თბ., 1988.
